პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებული უსახელო მოედნისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებულ უსახელო მოედანს მიენიჭოს მონტევიდეოს სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **19-01241702888**
თარიღი: **18/06/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში საგარეო საქმეთა სამინისტროდან შემოსულია წერილი (N04-01241691440-01, 17.06.2024წ), რომელიც ქალაქ თბილისში, რომელიმე მოედნისთვის ,,მონტევიდეოს'' სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 5 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო

19464-01-2-202406171238

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/19464
17/06/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს

ბატონ **ანდრია ბასილაიას**

ბატონო ანდრია,

ურუგვაის აღმოსავლურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოდან (რეზიდენციით ქ. ბუენოს-აირესი) მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ მონტევიდეოს საოლქო საბჭომ „თბილისის მოედნის" სახელი მიანიჭა ქალაქ მონტევიდეოში არსებულ თავისუფალ სივრცეს, მდებარეს ხუან ბაუტისტა ალბერდისა და ბოლივიის გამზირების კვეთაზე *(შენიშვნა: მოედანი მდებარეობს ქალაქის გამორჩეულ, მიმზიდველ ზონაში - დღეისათვის პრესტიჟულ კარასკოს უბანში, რომელიც ადრე კარასკოს ბალნეოლოგიურ კურორტს ეკუთვნოდა).*

ურუგვაისა და საქართველოს შორის მეგობრული კავშირების, ნაცვალგების პრინციპისა და მიმდინარე წელს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავის გათვალისწინებით, გთხოვთ, განიხილოთ ქალაქ თბილისში არსებული რომელიმე მოედნისთვის „მონტევიდეოს" სახელის მინიჭების საკითხი და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ.

დანართი: ტექსტის თანახმად.

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

JUNTA DEPARTAMENTAL DE MONTEVIDEO

Exp. N° 2023-98-02-002163

Decreto - N° 38714

LA JUNTA DEPARTAMENTAL DE MONTEVIDEO

DECRETA:

Artículo1.°- Designar con el nombre Plaza Tbilisi el espacio libre situado en la intersección de las Avdas. Juan Bautista Alberdi y Bolivia, identificado en el Sistema de Información Geográfica con el número 1038.

Artículo 2.°- Comunicar.

SALA DE SESIONES DE LA JUNTA DEPARTAMENTAL DE MONTEVIDEO, A LOS VEINTITRÉS DÍAS DEL MES DE MAYO DEL AÑO DOS MIL VEINTICUATRO.

- Firmado electrónicamente por FERNANDO MARTÍN PEREIRA RIVERO.
- Firmado electrónicamente por PATRICIA SORIA PALACIOS.

INTENDENCIA DE MONTEVIDEO
SECRETARIA GENERAL
DESPACHO
MONTEVIDEO: 31 MAYO 2024
RECIBIDO HOY. HORA 4:00 pm
CONSTE

არაოფიციალური თარგმანი

ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკის საელჩო

არგენტინის რესპუბლიკაში

N092/2024

ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკის საელჩო გულითადად მიესალმება საქართველოს საელჩოს და პატივი აქვს, აცნობოს, რომ მონტევიდეოს საოლქო საბჭომ „თბილისის მოედნის" სახელი მიანიჭა ქალაქ მონტევიდეოში არსებულ თავისუფალ სივრცეს, მდებარეს ხუან ბაუტისტა ალბერდისა და ბოლივიის გამზირების კვეთაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გეგზავნებათ შესაბამისი N38714 დეკრეტი.

ამასთან, მადლობას მოგახსენებთ, თუკი შეგვატყობინებთ ქალაქ თბილისში, საჯარო სივრცისათვის „მონტევიდეოს" სახელის მინიჭების მხრივ არსებულ ვითარებას.

ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკის საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაუდასტუროს საქართველს საელჩოს თავისი ღრმა პატივისცემა.

2024 წლის 10 ივნისი

საქართველოს საელჩოს

ბუენოს-აირესი

UruguayNatural

Embajada de la República Oriental del Uruguay
en la República Argentina

P 092/2024

La Embajada de la República Oriental del Uruguay presenta sus más atentos saludos a la Embajada de Georgia y tiene el honor de poner en su conocimiento que la Junta Departamental de Montevideo designó con el nombre "Plaza Tbilisi" al espacio libre en la intersección de las Avenidas Juan Bautista Alberdi y Bolivia, de la ciudad de Montevideo. Al respecto, se remite adjunto texto del Decreto Nro. 38714 correspondiente.

Asimismo, mucho se agradecerá conocer la situación en la que se encuentra la definición del espacio público "Montevideo", en la ciudad de Tbilisi.

La Embajada de la República Oriental del Uruguay se vale de la oportunidad para reiterar a la Embajada de Georgia las seguridades de su más alta consideración.

EMBAJADA DEL URUGUAY
BUENOS AIRES

Buenos Aires, 10 de junio de 2024.

A la Embajada de Georgia

Buenos Aires

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03242019**
თარიღი: **19/07/2024**

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, თბილისის მერიიდან შემოვიდა თქვენი 15-032417057-03 წერილი, თბილისში მდებარე ერთ-ერთი მოედნისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია დადებითად აფასებს მონტევიდეოს საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებას, "თბილისის მოედნის" სახელდებასთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული ყველა ოფიციალური პირისა და უწყების ძალისხმევა.

კომისია მზად არის აქტიურად იმუშაოს შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის მიმართულებით და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს თბილისში მდებარე ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭების საკითხის განხილვა.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032509723**
თარიღი: **07/04/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას 2024 წლის 18 ივნისის საქმე #15-032417057-03 დაკავშირებით, რომლითაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ხათუნა თოთლაძის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია თბილისში ერთ-ერთი მოედნისთვის მონტევიდეოს სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძის და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებული უსახელი მოედნის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი